ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 8

22 თებერვალი , 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2
14 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

სალომე ქერაშვილი

ლალი შელეგია

ვლადიმერ ციცქიშვილი

ირა ნემსაძე

ნიკო ქებურია

იზოლდა ბარკალაია

გია კაპანაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ

5. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ

7. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ

1. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ
2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქმე ეხება საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომლის თანახმადაც დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან მდებარე I ჩიხს მიენიჭა შალვა გოგიძის სახელი. სხდომას ესწრებოდა შპს “ალფას“ წარმომადგენელი სალომე ქერაშვილი. მისი განცხადებით, ხსენებული ტერიტორია და გზის ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობათა უმრავლესობაც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ზემოაღნიშნული კომპანიის საკუთრებას.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები გამართა საკრებულოს იურიდიულ განყოფილებასთან. მითითებული გარემოებების გაანალიზების საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „პსპ ფარმას“ მოთხოვნის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ხსენებულ ქუჩაზე იმ საკადასტრო ერთეულების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ „პსპ ფარმას“ საკუთრებას და რომლებსაც შესაძლოა დღის წესრიგში დაუდგეთ გზის და მისამართის საკითხი, კომისია მათი „პსპ ფარმას“-თან შეთანხმების შემთხვევაში მზად იქნება იმსჯელოს ქუჩის ხელახლა სახელდებაზე (შესაბამისი სამართლებრივი პირობების არსებობის შემთხვევაში)

ვინაიდან #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება თბილისში აუქმებს შალვა გოგიძის სახელობის ქუჩას, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მისი სახელის ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის მინიჭებას.ამ მიზნით კომისიის მიერ შერჩეული იქნა უსახელო ქუჩა დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხები.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილება „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული

უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“

და

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელი.

3. **ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე თინათინ ნიბლოშვილმა უსახელო ქუჩებისთვის ტოპონიმური სახელწოდებების შერჩევასთან დაკავშირებით ისაუბრა. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ისტორიული წყაროების დამუშავებისას გაირკვა, რომ ფონიჭალას ძველი სახელწოდებაა სოღანლუღი, სოღანლუღამდე კი დასახლება გზისკარის სახელით მოიხსენიებოდა.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს გზისკარის სახელი.

4. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ არაერთი კონსულტაცია გამართა განმცხადებლებთან. კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა წარმოადგინა უსახელო ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი. სხდომაზე ტოგო გუდავას ბიოგრაფიაზე და დამსახურებებზეც ისაუბრეს.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ლალი შელეგიაც. მან მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის და მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.

ერთობლივი მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე კომისიამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელი.

5. **ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად მოქალაქეთა განცხადებები განიხილეს, უსახელო ტერიტორიების სახელდების მოთხოვნით. ერთ-ერთი წერილით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ექიმ-პედეატრების ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭებას.

სხდომაზე დამსახურებული ექიმების ბოგრაფიებზეც იმსჯელეს და წარმოდგენილ საკითხს დადებითი რეკომენდაცა გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელი.

6. **ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხის შესახებ იმსჯელეს. თინათინ

ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს უდაბნოს მონასტრის I შესახვევთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ვლადიმერ ციცქიშვილი, რომელიც დაეთანხმა საკითხთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ჩეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში გაგრძელდეს უდაბნოს მონასტრის I შესახვევი.

7. **ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში გაგრძელდეს ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა.

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან და მოქალაქე ირა ნემსაძესთან ერთად საკითხი განიხილეს. აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს ელიას მთაზე, თეოფანე დავითაიას ქუჩის მიმდებარედ. ერთობლივი მსჯელობის შედეგად, სახელდებისთვის შეირჩა ტოპონიმი და საკითხი დადებითად გადაწყდა.

ირა ნემსაძეს სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორიის დამისამართება წარსულში პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, თუმცა მიღებული გადაწყვეტილება დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ელიას მთის სახელი.

9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ივერთუბნის I გასასვლელის სახელი.

10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე მოქალაქე იზოლდა ბარკალაიას განცხადება განიხილა, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ტერიტორის დამისამართებას. სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი იზოლდა ბარკალაიაც.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა მარჯნის სახელი. აღნიშნულმა სახელდებამ მოწონება დაიმსახურა განმცხადებლის მხრიდანაც. როგორც მოქალაქეს კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, მას შემდეგ რაც ხსენებულ ქუჩაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოოს სამისამართო სამსახური მოახდენს სისტემურ

ნუმერაციას, აბრების გაკვრას უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მარჯნის სახელი.

11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან და მოქალაქე გია კაპანაძესთან ერთად ნასაგურში, უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი განიხილეს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე უამრავი ჭადრის ხეა გაშენებული, კომისიამ უსახელო ქუჩისთვის თემატური სახელი შეარჩია და გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მხრიდან დადებითი რეკომენდაცია გაეწია.

გია კაპანაძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს და სხდომის თავმჯდომარეს მხარდაჭერისთვის და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჭადრის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

22 თებერვალი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი